საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

საინფორმაციო ფურცელი

მსოფლიოში კონკურენციის უწყებების მიერ განხორციელებული აქტივობები

აპრილი, 2023

1 იტალიის კონკურენციის უწყება

ელექტრომობილების სექტორი

იტალიის კონკურენციის უწყებამ მოკვლევა დაიწყო კომპანია Enel-ის წინააღმდეგ ელექტრომობილების სექტორში დომინანტური მდგომარეობის შესაძლო ბოროტად გამოყენების გამო.

უწყების ცნობით, კომპანიები Enel X Way, Enel X Way Italia დაEwiva შესაძლოა ეწეოდნენ ანტიმონოპოლიურ ქცევას არაინტეგრირებული კონკურენტების მიმართ, რომლებიც აქტიურობენ ელექტრო დამუხტვის სერვისების მიწოდებაში.

დატენის წერტილის ოპერატორებად (CPO) მოქმედ სუბიექტებს (Enel X Way Italia და Ewiva, ეს უკანასკნელი არის ერთობლივი საწარმო ფოლკსვაგენის ჯგუფთან, რომელიც ეფუძნება უმაღლესი ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარებას), როგორც ჩანს, დომინანტური პოზიცია უჭირავს ეროვნულ ტერიტორიაზე ელექტრო დამუხტვის წერტილების დაყენებისა და მართვის ბაზარზე.

ეს კომპანიები ფაქტობრივად იხდიან „საბითუმო“ ფასებს (ე.წ. როუმინგული ტარიფები, სხვადასხვა MSP-თან თავსებადობის ხელშეკრულებების ფარგლებში) მათ წერტილებზე წვდომისთვის, რომლებიც არასაკმარისია მინიმალური მომგებიანობის დასაშვებად, საცალო ფასებთან შედარებით.

როგორც ჩანს, ამგვარმა ქცევამ შეიძლება ბაზრიდან გამოაგდოს ამჟამად აქტიური MSP-ები და პოტენციურად შეზღუდოს სხვა არაინტეგრირებული ოპერატორების შესვლა, რომლებიც შეიძლება დაინტერესებულნი იყვნენ ამ განვითარებადი ბაზრით, ასევე

ინოვაციური ელექტრომობილების მხარდასაჭერად ახალი სერვისების შესაძლო შეთავაზების გამო.

უწყებამ აღნიშნულ კომპანიებში ასევე ჩაატარა ინსპექტირება ფინანსური პოლიციის სპეციალური ანტიმონოპოლიური განყოფილების დახმარებით.

[წყარო:]

2

იტალიის კონკურენციის უწყება

შეცდომაში შემყვანი პრაქტიკა

იტალიის კონკურენციის უწყებამ დაიწყო მოკვლევა Bat Italia-სა და Amazon-ის წინააღმდეგ Glo Hyper X2 თამბაქოს გამაცხელებელი მოწყობილობის სავარაუდო შეცდომაში შემყვანი რეკლამის გამო.

უწყების თანახმად, კომპანიებმა Bat Italia და Amazon თავიანთ სარეკლამო შეტყობინებებში, Glo Hyper X2 მოწყობილობასთან დაკავშირებით გამოტოვეს ინფორმაცია ან მომხმარებელებს მიაწოდეს შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია პროდუქტის გამოყენებისთვის ჯანმრთელობის რისკების და არასრულწლოვნებზე გამოყენების აკრძალვის შესახებ.

იტალიის კონკურენციის უწყებამ დაიწყო მოკვლევა British American Tobacco Italia, Amazon Services Europe და Amazon Italia Customer Services-ის წინააღმდეგ. მოკვლევა ეხება სარეკლამო აქტივობას, რომელიც დაკავშირებულია British American Tobacco-ს მიერ შემუშავებულ და ბაზარზე გაცხელებული თამბაქოს ნაწარმის უახლესი მოდელის Glo Hyper X2 მოწყობილობის გაყიდვასთან. Glo Hyper X2 წარმოდგენილია როგორც ტრადიციული სიგარეტის ალტერნატივა, რომელიც შედგება ელექტრონული მოწყობილობისგან, რომელშიც ჩასმულია თამბაქოს ჯოხი, რომელიც თბება მაღალ ტემპერატურაზე, მაგრამ არ იწვება. თამბაქო შეიცავს ნიკოტინს, ნივთიერებას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს დამოკიდებულება და მაღალი კონცენტრაციით, საზიანოა ჯანმრთელობისთვის.

გამოტოვებული და/ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია, რომელიც არსებითია პროდუქტის სარეკლამო შეტყობინებებში, შეიძლება აიძულოს მომხმარებლები მიიღონ კომერციული გადაწყვეტილება, განსაკუთრებით არასრულწლოვანები, და გაუცნობიერებლად ჯანმრთელობის დაზიანების რისკზე აყენებს მომხმარებლებს.

[წყარო:]

ნიდერლანდების მომხმარებელთა და ბაზრის შწყება (ACM)

1

ენერგო ბაზრის მონიტორინგი

ტარიფები სულ უფრო მეტად მცირდება სამომხმარებლო ენერგო ბაზარზე.

ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის ახალ კონტრაქტებში ტარიფები კვლავ იკლებს. შედეგად, ახალი მომხმარებლებისთვის შეთავაზებული კონტრაქტების 35 % მიწოდების ცვლადი ტარიფი დაეცა ფასების ზღვარზე (მარტის დასაწყისში ეს პროცენტი 16 % იყო).

აღსანიშნავია, რომ კონტრაქტებში მინიმუმ 12 თვის განმავლობაში იქნება ფიქსირებული ტარიფები. 2023 წლის 1 ივნისიდან მოსალოდნელია მეტი ფიქსირებული კონტრაქტების შეთავაზება, რადგან ვადამდელი შეწყვეტის ცვლადი საფასურის ახალი წესები ძალაში შევა ამ თარიღიდან. ამ ახალი წესებით, ფიქსირებული კონტრაქტების შეთავაზება ნაკლებ რისკებს გამოიწვევს ენერგო მომწოდებლებისთვის. ბევრ მომხმარებელს სურს ჰქონდეს ფიქსირებული ტარიფის კონტრაქტები, რომ იცოდნენ თუ რა უნდა გადაიხადონ მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში.

უწყებამ ასევე შეამოწმა ენერგო მომწოდებლების ხელმისაწვდომობა. მომწოდებელს კანონით მოეთხოვება ხელმისაწვდომი იყოს ელექტრონული ფოსტით და ტელეფონით, თუ მომხმარებლებს აქვთ შეკითხვები ენერგო კონტრაქტების ონლაინ გაფორმებისას. სწორედ ამიტომ ACM-მა შეამოწმა, ჰქონდა თუ არა ყველა მომწოდებელს ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი მათ ვებსაიტებზე. აღმოჩნდა, რომ 57 მომწოდებლიდან 29-ს ჰქონდა ეს ინფორმაცია ნათლად მათ საკონტაქტო გვერდზე ან მომხმარებელთა მომსახურების გვერდზე. 28 მომწოდებელს არ ჰქონდა მათი ტელეფონის ნომრები და/ან ელექტრონული ფოსტის მისამართები საკუთარ ვებსაიტებზე, ან მათი მოძებნა რთული იყო.

ACM-მა გააფართოვა მონიტორინგი სამომხმარებლო ენერგეტიკული ბაზრის შესახებ. მონიტორი ასევე აჩვენებს, თუ რა გზებით შეიძლება დაუკავშირდეს მომხმარებელი მომწოდებელს და რომელ საათებში.

წყარო:

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის ოფისი (UOKiK)

სადაზღვევო პრაქტიკა

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის კომისიის პრეზიდენტი ეჭვქვეშ აყენებს აღნიშნულ პრაქტიკას და კომპანიას ავალდებულებს მომხმარებელთა დარღვეული უფლებები აღადგინოს.

მზღვეველმა უნდა აცნობოს თავის მომხმარებლებს, რომ მათ შეუძლიათ გააუქმონ ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებები მათი თანხმობის გარეშე და დაიბრუნონ დამატებითი დაფარვისთვის შეგროვებული პრემიები.

UOKiK-ის პრეზიდენტმა გამოსცა გადაწყვეტილება „Compensa Towarzystwo Ubezpieczeń na Życie"-თან დაკავშირებით. საკითხი ეხება მომხმარებლებისთვის გაგზავნილ შეთავაზებას. ეს იყო დაფარვის ფარგლების გაფართოება, მაგალითად, უფრო მაღალი პრემიის სანაცვლოდ ავარიის შემდეგ საავადმყოფოში ყოფნის ხარჯები. მომხმარებლები, რომლებიც არ დაინტერესდნენ შეთავაზებით და გადაიხადეს პრემია იმ ოდენობით, როგორც მანამდე, კომპანიამ მათ მოუწოდა გადაეხადათ დარჩენილი თანხა.

დაზღვევის ხელშეკრულებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები, როგორიცაა მისი ფარგლების გაფართოება და პრემიის ოდენობის გაზრდა, მოითხოვს მომხმარებლის პირდაპირ თანხმობას. წერილზე უპასუხო რეაქცია არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს ასეთად. მეწარმემ არ უნდა დაავალდებულოს მომხმარებელი, მიიღოს ზომები იმ შეთავაზებაზე, რომელიც მას არ აინტერესებს.

უწყების გადაწყვეტილების მიხედვით, კომპანია ვალდებული იყო შეეწყვიტა სადავო პრაქტიკა და გამოესწორებინა მისი შედეგები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მან თავიდან აიცილა ჯარიმა. მომხმარებლებს, რომელთა სადაზღვევო ხელშეკრულებაში ცვლილებები განხორციელდა მათი პირდაპირი თანხმობის გარეშე, შეუძლიათ მოითხოვონ ცვლილებების გაუქმება. ასეთ ვითარებაში, კომპანია ან აუნაზღაურებს მათ დამატებით დაფარვის პრემიის ექვივალენტს, ეს ეხება როგორც კომპანიის ამჟამინდელ მომხმარებელს, ასევე იმ პირებს, რომელთა სადაზღვევო კონტრაქტებს უკვე ვადა გაუვიდა.

წყარო:

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის ოფისი (UOKiK)

ავტოსადგომები

UOKiK-ის პრეზიდენტმა მომხმარებელთა ინტერესების დარღვევისთვის APCOA Parking Polska დააჯარიმა, ჯარიმის ოდენობამ შეადგინა 820 ათას პოლონურ ზლოტზე მეტი.

APCOA Parking Polska არის ავტოსადგომის ოპერატორი, რომელიც მდებარეობს პოლონეთის მასშტაბით, საავადმყოფოების, საოფისე შენობების, სასტუმროებისა და სავაჭრო ცენტრების სიახლოვეს. კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის ოფისს მიღებული აქვს არაერთი საჩივარი აღნიშნული კომპანიის პრაქტიკასთან დაკავშირებით.

APCOA Parking Polska-მ შეზღუდა მომხმარებელთა მიერ საჩივრების წარდგენის მეთოდები, დაუშვა მხოლოდ ორი სახის შეტყობინებები: ვებსაიტზე განთავსებული ფორმის საშუალებით ან წერილობით, რეგისტრირებული ოფისის მისამართზე. ამავდროულად, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ საჩივრების განხილვის ვადა შეიძლება იყოს 30 დღეზე მეტი. ეს ეწინააღმდეგება მომხმარებელთა უფლებების აქტს, რომელიც ითვალისწინებს, რომ შეუძლებელია პასუხის დროის გახანგრძლივება დამოუკიდებლად. 2023 წლის 1 იანვრამდე, თუ მეწარმე არ უპასუხებდა შეტყობინების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში, საჩივარი აღიარებული იქნებოდა. ახალი რეგულაციებითეს ვადა 14 დღემდე შემცირდა.

ზოგიერთმა მომხმარებელმა, რომელმაც საჩივარი წარადგინა APCOA-ს პარკინგის ადგილების გამოყენებისთვის „დამატებითი საფასურის გადახდის მოთხოვნაზე“, შეიტყო, რომ თუ ისინი ვერ გადაიხდიან მითითებულ თანხას, ისინი დაზარალდებიან ვალების ამოღებისა და სააღსრულებო წარმოების ხარჯებითაც. კომპანიამ ჯერ საქმე უნდა გადასცეს სასამართლოს და შემდეგ აღმასრულებელ ორგანოს, როგორიცაა აღმასრულებელი.

APCOA Parking Polska-ს გადაწყვეტილების საბოლოო მიღებისთანავე მოუწევს 820 ათას PLN-ზე მეტის გადახდა და მოუწევს აცნობოს მომხმარებლებს უწყების გადაწყვეტილების შესახებ, რომლებიც ამის საფუძველზე სასამართლოში საკუთარი უფლებების დაცვას შეძლებენ.

მოკვლევის ფარგლებში უწყებამ ყურადღება გაამახვილა ასევე ავტოსადგომებზე სუპერმარკეტებში და ავტოსადგომებზე ვროცლავის ონკოლოგიურ საავადმყოფოში და უწყება აპროტესტებს მათი მენეჯერების მიერ გამოყენებულ უსამართლო პრაქტიკას.

კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის ოფისი მომხმარებლებს მიმართავს:

- 1 იანვრიდან 14 დღე იქნება ვადა, რომლის განმავლობაშიც მეწარმემ უნდა უპასუხოს საჩივარს. ამ პერიოდის შემდეგ საჩივარი გამართლებულად ჩაითვლება;

- რეგლამენტში არ არის მითითებული საჩივრის შეტანის ფორმა, ამის გაკეთება შეგიძლიათ, ხელმისაწვდომი ფორმის საშუალებით, ფოსტით-რეგისტრირებული ოფისის მისამართზე, ელექტრონული ფოსტით ან პირადად. მეწარმე ვალდებულია გაითვალისწინოს ნებისმიერი სახის შეტყობინება;
- ავტოსადგომზე შესვლისას უნდა იცოდეთ რამდენს იხდით პარკირების სერვისში, ფასი უნდა იყოს მკაფიოდ და ცალსახად გამოსახული;
- უწყება არ აპროტესტებს ბილეთების ჩამოტვირთვის მოთხოვნას მაღაზიების წინ პარკირების ადგილებში, იმ პირობით, რომ მომხმარებლები სათანადოდ არიან ინფორმირებულნი ამის შესახებ;
- ცალკეულ შემთხვევებში დაუკავშირდით მუნიციპალურ ან რაიონულ მომხმარებელთა ომბუდსმენს.

[წყარო:]

საფრანგეთის კონკურენციის უწყება

1

საცხობი ტექნიკის დისტრიბუციის სექტორში რამდენიმე სუბიექტს სანქციები დაეკისრათ

საფრანგეთის კონკურენციის უწყება აჯარიმებს Bongard და the Bongard Dealers' ასოციაციას ფასების დაფიქსირებისთვის. უწყება ასევე აჯარიმებს Euromat-ის შესყიდვების ოფისს იმ პრაქტიკისთვის, რომელიც ზღუდავს პასიურ გაყიდვებს.

Bongard არის ფრანგული კომპანია, რომელიც აწარმოებს საცხობი და საკონდიტრო ტექნიკის ფართო ასორტიმენტს თავისი ბრენდის სახელით, მათ შორის "Paneotrad" მანქანას. კომპანია თავის პროდუქტებს ავრცელებს პირდაპირ ან ექსკლუზიური სადისტრიბუციო ქსელის მეშვეობით, რომელიც შედგება დაახლოებით 30 დისტრიბუტორისგან.

მხარეებმა არ გააპროტესტეს სავარაუდო პრაქტიკა და მოითხოვეს ფინანსური ჯარიმა გენერალური მომხსენებლის მიერ შემოთავაზებული დიაპაზონის ფარგლებში. ამ მოლაპარაკების მიხედვით, საფრანგეთის კონკურენციის უწყებამ კომპანიებს დააკისრა ჯარიმა 2,950,000 ევროს ოდენობით:

ACB - 1,500,000 ევრო

Bongard - 1,200,000 ევრო

Euromat - 250 000 ევრო

[წყარო:]

2

საფრანგეთის კონკურენციის უწყება

სანქციები დაწესდა შამპანიურის კომპანიის და ორი საბითუმო იმპორტიორის მიმართ

საფრანგეთის კონკურენციის უწყება აჯარიმებს Arvitis ჯგუფის რამდენიმე კომპანიას (TCD, Champagne Canard-Duchêne, C&C Export, Dourthe, Arvitis Bordeaux და Arvitis SA), ასევე ორ საბითუმო იმპორტიორ კომპანიას, Sodis Chrismay და Sodipa, ლურელის აქტის ძალაში შესვლის შემდეგ Canard-Duchêne შამპანურებზე ექსკლუზიური იმპორტის უფლებების შენარჩუნებისთვის.

ჯარიმის ჯამური ოდენობა 283 000 ევროს შეადგენს.

მტკიცებულებები აჩვენებს, რომ დაჯარიმებულმა კომპანიებმა შეინარჩუნეს კონტრაქტები, რომლებიც შეიცავს ექსკლუზიურ განაწილების პუნქტებს. ასევე დადგინდა, რომ ექსკლუზიურობის ეს პრაქტიკა გაგრძელდა სახელშეკრულებო ჩარჩოს მიღმაც. მაგალითად, უწყებამ დაადგინა, რომ Arvitis-მა უარი თქვა Canard-Duchêne პროდუქციის პირდაპირ პოტენციურ მყიდველებზე გაყიდვაზე და გადაამისამართა მათ ექსკლუზიურ ადგილობრივ იმპორტიორთან. კომპანიამ ასევე დანერგა ხელშეწყობის მექანიზმი ერთადერთი ექსკლუზიური იმპორტიორის სასარგებლოდ, რომელიც მიზნად ისახავდა ადგილობრივი მყიდველების წახალისებას მისი პროდუქციის შეძენაში აღნიშნული იმპორტიორის მეშვეობით.

[წყარო:]

1

ფედერალური სავაჭრო კომისია (FTC)

ფედერალური სავაჭრო კომისია მომხმარებლებს 1,1 მილიონ დოლარზე მეტს უბრუნებს

ფედერალური სავაჭრო კომისია მომხმარებლებს უგზავნის 41,934 ჩეკს, საერთო ჯამში 1,1 მილიონ დოლარზე მეტს, რომლებიც გახდნენ მსხვერპლნი შეცდომაში შემყვანი კომერციული პრაქტიკის გამო. საკითხი ეხება მოტყუებით კბილების გათეთრების და სხვა პროდუქტების უფასო ტესტერების შეთავაზებას, რის შემდეგაც მომხმარებლებს დაეკისრათ პროდუქტის ღირებულების გადახდა.

შედეგად, მომხმარებლები, რომლებიც თვლიდნენ, რომ იყიდეს ერთი საცდელი პროდუქტი დაახლოებით 5 დოლარად, რეალურად მათ მოუწიათ დაახლოებით $200 გადახდა თვეში, სანამ არ გააუქმებდნენ გამოწერას.

ფედერალური სავაჭრო კომისია მუშაობს კონკურენციის ხელშეწყობისა და მომხმარებლების დასაცავად.

[წყარო:]

1

უნგრეთის კონკურენციის უწყება

რძის პროდუქტების შიდა ბაზარი

რძის პროდუქტების საცალო ფასის შემცირების წინადადებების პროექტზე უნგრეთის კონკურენციის უწყებამ კონსულტაცია გაიარა ხუთ ეროვნულ პროფესიულ ორგანიზაციასთან, რომლებიც წარმოადგენენ სექტორს და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან. რძის პროდუქტების ბაზრის დაჩქარებული სექტორული კვლევის ანგარიშის პროექტზე საჯარო კონსულტაციები 20 მაისამდე გაგრძელდება პროფესიული კონსენსუსის მისაღწევად.

უნგრეთის კონკურენციის უწყებამ (GVH) საჯარო კონსულტაციისთვის გამოაქვეყნა ანგარიშის პროექტი, რომელიც აჯამებს გასულ კვირას რძისა და რძის პროდუქტების ბაზარზე სექტორის კვლევის შედეგებს. ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, კონკურენციის უწყებამ ინფლაციის შემცირების 6 წინადადება მოამზადა, სადაც GVH-ის ექსპერტები, სხვა საკითხებთან ერთად, ბაზრის მოთამაშეებს სთავაზობს ნედლი რძის ფასის ფორმულის მიმოხილვას, პროფესიონალურ დახმარებას სურსათის ფასების ლიმიტების შესახებ, სამომხმარებლო ფასების შედარების გაძლიერებას, მცენარის ფასების გადახედვას და ა.შ. ინდუსტრიის დაინტერესებულ მხარეებს აქვთ ერთი თვე ვადა, რათა კომენტარი გააკეთონ ანგარიშის პროექტზე, რომელიც ხელმისაწვდომია GVH-ის ვებსაიტზე.

„ჩვენი მთავარი მიზანია ფასების დაწევა! საჯარო კონსულტაცია ყველა დაინტერესებულ მხარეს აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი მოსაზრებები ანგარიშის პროექტთან დაკავშირებით. ჩვენი მიზანია, ბაზრის მოთამაშეებთან ერთად შევიმუშაოთ კონკურენტუნარიანი წინადადებები, რომლებიც საუკეთესოდ ემსახურება უნგრელი მომხმარებლებისა და კომპანიების ინტერესებს“.- განაცხადა უწყების პრეზიდენტმა.

[წყარო:]

1

ავსტრიის კონკურენციის ფედერალური უწყება (AFCA)

DAWN RAID

ავსტრიის ფედერალურმა კონკურენციის უწყებამ სამაცივრო და საყინულე აღჭურვილობის დისტრიბუციაში გამოიყენა მოულოდნელი შემოწმების მექანიზმი.

კომპანია ეჭვმიტანილია ანტიკონკურენტულ პრაქტიკაში, კერძოდ, სამაცივრო და საყინულე მოწყობილობების დისტრიბუციაში გაყიდვის ფასების დაფიქსირებაში (ე.წ. ვერტიკალური ფასის დაფიქსირება). მოულოდნელი შემოწმების ოპერაცია 2023 წლის 18 აპრილს დაიწყო და ამჟამადაც მიმდინარეობს.

მოულოდნელი შემოწმება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ავსტრიის ფედერალური კონკურენციის უწყების მიერ, კარტელის სასამართლოს (ვენის უმაღლესი რეგიონული სასამართლო) მიერ გაცემული ჩხრეკის ორდერის საფუძველზე. AFCA-ს მოთხოვნები განიხილება ერთი მოსამართლის მიერ და შესაბამისი ექსპერტიზა ეფუძნება ეჭვის პროპორციულობისა და აუცილებლობის საფუძვლებს.

[წყარო:]

1

სომხეთის რესპუბლიკის კონკურენციის დაცვის კომისია

რძის პროდუქტების ბაზარი

სომხეთის კონკურენციის დაცვის კომისიამ არაკეთილსინდისიერი კონკურენციისა და მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანისთვის შესაბამისი კანონისმიერი ზომები გამოიყენა რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანიების მიმართ, ესენი არიან: Amasiya Main Cheese Factory, Aparani Cheese Factory და Mer Yerkir.

მიღებული შედეგების და საქმის განხილვის შედეგად კომისიამ დაადგინა, რომ კომპანია Amasiya Main Cheese Factory ყველს აწარმოებდა მცენარეული ზეთით და ყიდდა. ხოლო Aparani Cheese Factory-ის მიერ წარმოებულ იოგურტებსა, და Mer Yerkir-ის მიერ წარმოებულ რძის შეფუთვებზე დატანილი ინფორმაცია ცხიმის შემცველობის შესახებ, რეალობას არ შეესაბამება.

კომისიის გადაწყვეტილებით, კომპანია Amasiya Main Cheese Factory დაჯარიმდა 9,146,440 დრამით, Aparani Cheese Factory 600,947 დრამით და კომპანია Mer Yerkir 990 578 დრამით.

წყარო:

1

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO)

მსოფლიო ვაჭრობის ანგარიში 2022 - კლიმატის ცვლილება და საერთაშორისო ვაჭრობა

კლიმატის ცვლილება დიდ გავლენას ახდენს ადამიანების ცხოვრებაზე მთელ მსოფლიოში. კლიმატის ცვლილების შერბილება და ადაპტაცია საჭიროებს დიდ ეკონომიკურ ინვესტიციებს და კოორდინირებულ ქმედებებს. 2022 წლის მსოფლიო ვაჭრობის ანგარიში იკვლევს კომპლექსურ ურთიერთკავშირს კლიმატის ცვლილებასა და საერთაშორისო ვაჭრობას შორის და როგორ შეუძლია საერთაშორისო ვაჭრობას და ვაჭრობის წესებს წვლილი შეიტანოს კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლაში.

წყარო:

გამოყენებული ინფორმაცია ეყრდნობა უწყებების/ორგანიზაციების ოფიციალურ საიტებზე არსებულ ინფორმაციებს.

გადამოწმდა ავსტრიის, საფრანგეთის, პოლონეთის, უნგრეთის, ნიდერლანდების და იტალიის კონკურენციის უწყებების ოფიციალური გვერდები. ასევე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის, ფედერალური სავაჭრო კომისიის და ევროკომისიის ვებგვერდები.

(032) 244 07 70

info@gnca.gov.ge

www.gnca.gov.ge

https://bit.ly/37SCd22

https://bit.ly/3rZdxvL

https://bit.ly/37SCd22

0102 ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი - 154.
ბიზნეს ცენტრი "მწვანე ოფისი", მე-10 სართული